572
1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დილა

„აუვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 11 საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ჟურნალი მცირეწლოვანთათვის
ნოემბერი
1956

სახელმწიფო
საჯარო
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ბოლშინცოვი

ნახატები ქ. მაჭარაძისა

ბიჭუნა ნარვის სადარაჯოდა

1.

1917 წლის ოქტომბრის სწორედ იმ დღეს, რომლის შესახებაც მინდა გიამბოთ, მე მხოლოდ რვა წლისა ვიყავი და დილიდანვე დავქროდი ჩვენი უბნის ქუჩებში მეგობრებთან ერთად.

ჩვენ ყველაზე მეტად იმისი გვეშინოდა, არ დაგვგვიანებოდა და რაიმე საინტერესო ამბავი არ გამოგვრჩენოდა...

მაგრამ ყველაზე საყურადღებო და საინტერესო ამბავი საღამოს დაიწყო ქარხანაში და მეც ამის შესახებ გიამბობთ.

ჩვენ იქ მაშინ მივირბინეთ, როცა ქარხნის საყვირის გაბმულმა ხმამ მუშაობის დამთავრება გვამცნო. საკვირველი ის იყო, რომ მიუხედავად საყვირის ხმისა, არც ერთი ცვლადამთავრებული მუშა სახლში არ მიდიოდა და საღამოს ცვლაში მოსულები არც ერთი არ შედიოდა საამქროში სამუშაოდ.

ქარხნის უზარმაზარი ეზო ისე იყო გაჭედილი მუშებით, რომ ბევრს ქუჩაში მოუხდა დგომა. ყველა რაღაცას ელოდადა, რაღა თქმა უნდა, ჩვენც დაველოდეთ.

2.

ცივმა ქარმა ყრუ გუგუნის ხმა მოიტანა ჩვენამდე.

— ბიჭებო, გესმით?—დაიძახა ვილაცამ, —უკვე ისვრიან!...

მაგრამ ჩვენ მარტო მოსმენა კი არ გვინდოდა,—აუცილებლად ყველაფერი საკუთარი თვალით უნდა გვენახა. ყველაზე მოხერხებულები და თავზეხელაღებულები ფარნის მაღალ ბოძზე აცოცდნენ და იქვე გადებულ ძელზე ჩამოსხდნენ მწკრივად, როგორც ბეღურები მავთულზე.

მეც, რაღა თქმა უნდა, ძელზე აღმოვჩნდი. აქედან ჩანდა მთელი უბანი სადარაჯომდე. არსად არ ისროდნენ. მხოლოდ შორს ტყვიისფერი ბოლი შევამჩნიე; ის სწრაფად მოქროდა გზაზე, ხან გაუჩინარდებოდა სახლებს იქით, ხან ისევ გამოჩნდებოდა. მხოლოდ მაშინ კი, როცა მან უცბად მოუხვია გზაჯვარედინზე და პირდაპირ ჩვენკენ გამოქანდა, ჩვენ დავინახეთ, რომ ეს მოტოციკლეტი იყო.

წინ, საჭეზე გადმოწოლილი, ტყავისქუდიანი მესაჭე იჯდა, მის უკან საბარგეზე კი—მეზღვაური...

ის მოტოციკლეტის გაჩერებამდე გადმოხტა ალაყაფის კართან და შემოხვეულ მუშებს მიმართა:

— ამხანაგებო, დროა დავიწყოთ! მე სმოლნიდან ვარ.

ის სმოლნიდან იყო! ახლა ძნელია იმის გადმოცემა, რა იყო მაშინ სმოლნი პეტროგრადელი მუშებისათვის. 1917 წლის ოქტომბერში სმოლნის ინსტიტუტის ყოფილ შენობაში იყო რევოლუციის შტაბი, ბოლშევიკები, ლენინი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც მუშები მწკრივად დაეწყვნენ, გამოირკვა, რომ ბევრ მათგანს არ ჰქონდა შაშხანა. მეზღვაური და რაზმის უფროსები გაცხარებით თათბირობდნენ და თან მუშებს რაღაცას ეკითხებოდნენ.

— ჰეი, ბიჭუნებო,—დაგვიძახა უცბად მეზღვაურმა,—რომელმა იცით, სად შეიძლება ხარატ მიხეილ ვორონოვის ცოლის ნახვა?

ჩვენი ბიჭებიდან ბევრმა იცოდა, სად შეიძლებოდა ხარატ მიხეილ ვორონოვის ცოლის ნახვა, მაგრამ ყველა გაჩუმდა და მე შემომაცქერდა, რადგან მიხეილ ვორონოვის ცოლი დედაჩემი იყო. მამაჩემი მიხეილ ვორონოვი კი უკვე სამი თვეა, რაც ციხეში იჯდა. იგი იქ ბურჟუებმა ჩასვეს იმიტომ, რომ ბოლშევიკი იყო.

3.

ის მეზღვაური და ორი მუშა პურის საცხობში მივიყვანე. დედაჩემი იქ მუშაობდა ღამღამობით და ძალიან იღლებოდა, მაგრამ პურის საცხობში მუშაობა ხელსაყრელი იყო იმიტომ, რომ მისი პატრონი კვირაში ორჯერ თითო პურს გვაძლევდა.

— მარია ნიკიფორეს ასულო,— დაიწყო მეზღვაურმა (მან გზაში მკითხა დედაჩემის სახელი), — დაპატიმრების წინ ქმარს ხომ არ უთქვამს თქვენთვის, სად გადამალა შაშხანები?

დედამ შეხედა მათ აღელვებულ სახეებს და დამშვიდებულ ხმით წარმოთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი, ამხანაგებო... როცა ის დააპატიმრეს, მე სახლში არ ვიყავი. მხოლოდ ის ვიცი, რომ შაშხანები მან ვიღაც ჯარისკაცებთან ერთად დამალა. თქვენ რომ ის ჯარისკაცები გეპოვნათ...

— სადღა იპოვით იმ ჯარისკაცებს!— მეზღვაურმა მუშებს გადახედა და მწარედ ამოიოხრა,—რა გაეწყობა! როგორც ჩანს, არ გვიწერია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელმაც იცის, სადაა შაშხანები დამალული!

მაგრამ ასეთი ადამიანი აღმოჩნდა. იგი მე ვიყავი.

4.

Sწორედ იმ ღამეს, როცა მამაჩემი ჯარისკაცებთან ერთად შაშხანით სავსე ყუთებს მიწაში მარხავდა, მეც იმ მიყრუებულ ადგილას აღმოვჩნდი; განაბული ვიჯექი ძველ, ნახევრადდანგრეულ ქოხში და ყველაფერს ვხედავდი. სმენითაც ყველაფერი მესმოდა.

მე ღამით იქ ჩემი კბილის გულისათვის მოვხვდი.

იმ დროში ბევრი მუშის ბავშვი გაუნათლებელი იყო და ათასნაირ სისულელეს იჯერებდა. რომელიღაც დედაბერმა გვითხრა ბიჭებს, რომ თუ შუაღამისას ყველასაგან საიდუმლოდ, უდაბურ ადგილას მიწაში ჩაფლავ შენს კბილს, მაშინ ყველა კბილი ისეთი მაგარი და მჭრელი ამოგვა, რომ ლურსმნის დაღეჭვას შეძლებო.

იმ ხანად მე მოვიცვალე კბილი. ძალიან ფამფალებდა და თამაშის დროს ერთ-ერთმა ამხანაგმა შემთხვევით იდაყვი რომ ამომარტყა ნიკაპში, კბილი ჩამომვარდა...

ღამით, როცა დედა სამუშაოზე წავიდა, ხოლო მამა კი ჯერ არ იყო დაბრუნებული, მე გავეშურე მიყრუებულ ადგილას ჩემი კბილის ჩასამარხად.

ადგილი მე ადრევე შევარჩიე — ძველ ქოხთან. დანით ამოვჩიჩქნე ორმო, შიგ კბილი ჩავაგდე, მიწა წავაყარე და სამჯერ გავიმეორე: „ამოდით, კბილებო, ჯანსაღი და მჭრელი!“—ამ დროს მომესმა ლაპარაკი და ფორანის ჭრიალი...

მე უცბად შევვარდი ქოხში და სუნთქვაშეკრული გავიტრუნე. ვცდილობდი, რაც შეიძლება იშვიათად მესუნთქა.

ფორანი პირდაპირ ქოხთან მოაყენეს. ხალხი ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ მე მაინც გავარჩიე მამაჩემის ხმა და უფრო მეტად შევშინდი. ვიცოდი, მაგრად მომხვდებოდა, შუაღამისას რაღაც კბილის გულისათვის აქ ატუზული რომ დავენახე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისინი დიდხანს მუშაობდნენ. მთვარე ამოვიდა და ქოხის ჭუმრუტანიდან გავარჩიე ჯარისკაცები, რომლებიც ყუთებს მიწაში მარხავდნენ. ყუთებში შაშხანები იყო.

დილით მამა დააპატიმრეს.

არ ვიცოდი, რა მექნა ჩემი საიდუმლოსათვის, ვისთვის გამენდო. იგი მოსვენებას არ მაძლევდა. მე, რა თქმა უნდა, შემეძლო ძველი ქოხის კედელთან ჩამარხული შაშხანების შესახებ მეამბნა მამაჩემის რომელიმე ერთგული ამხანაგისათვის, მაგრამ მრცხვენოდა იმის თქმა, რომ ღამე კბილის გულისათვის იმ უკაცრიელ ადგილას აღმოჩნდი... მრცხვენოდა, რომ ვიღაც დედაბერს დავუჯერე...

მაგრამ ახლა, როცა ჩემთვის გასაგები გახდა, რომ მამაჩემის მიერ დამალული შაშხანები საჭირო იყო თავადებისა და ბურჟუების წინააღმდეგ მომზადებულ შეიარაღებული აჯანყებისათვის, დავძლიე სირცხვილი და ყველაფერი ვუამბე მეზღვაურს...

5.

ალბათ, ნარვის სადარაჯოს იქით არასოდეს არ ყოფილა ისეთი ბიჭი, რომელსაც ისე სათუთად მოქცეოდნენ, როგორც მე.

ღამის სიბნელეში იმ უკაცრიელი ადგილისაკენ ისე ფრთხილად მივყავდი მათ, თითქოს შუშისა ვყოფილიყავი. ერთი ხელით მეზღვაურს ვეჭირე, მეორეთი — ძია ვასიას, წითელი გვარდიის საქარხნო რაზმის მეთაურს, ერთი მეთაური კი გზას გვინათებდა ფარნით.

მივიყვანე იმ ქოხთან და ის ადგილიც ვუჩვენე, სადაც შაშხანით სავსე ყუთები იყო ჩაფლული. ქარხნის სატვირთო მანქანა მოიყვანეს, მუშებიც მოჰყვნენ თან და სწრაფად ამოთხარეს ორმოები. მძიმე ყუთები მანქანებზე დაუდვეს და ქარხანაში რომ მივედით, შაშხანები მუშებს დაურიგეს.

ქარხნის ეზოდან სიბნელეში განუწყვეტლივ ერთი-მეორეს მიყოლებით მიდიოდნენ შეიარაღებული მუშებით სავსე საბარგო ავტომანქანები. დარჩა უკანასკნელი ავტომობილი. იგი დატვირთეს ვაზნებიანი ყუთებით და ტყვიამფრქვევით. ამ მანქანითვე უნდა წასულიყვნენ მეზღვაური და წითელგვარდიელების ერთი ჯგუფი.

მე აღარ დაველოდე მათ მიპატიჟებას. მაინცდამაინც დარწმუნებული არ ვიყავი, რომ მეზღვაური ჩემს წაყვანას მოინდომებდა თან. იმ არეულობაში სხვისაგან შეუმჩნევლად ავძვერი ავტომობილის ძარაზე და ყუთებზე გადაფარებული ბრეზენტის ქვეშ დავიმალე.

ერთი წამის შემდეგ მანქანა ისე მძლავრად მოსწყდა ადგილს, რომ ყუთზე ხელის ჩავლება ვერ მოვასწარი და ძარის კიდისაკენ გავსრიალდი. იმ წუთში ვიღაცის ღონიერ ხელს რომ არ დავეჭირე, უეჭველად გადავვარდებოდი მანქანიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენი გადასმა მოგვიხდება, ძამიკო,—მითხრა მეზღვაურმა.

— როგორ შეიძლება ჩემი აქ გადასმა!—წამოვიძახე აღელვებით და თან მაგრად ჩავეკიდე მეზღვაურს, რომ მანქანიდან არ გადმოვვარდნილიყავი,—მე აქედან სახლის გზას ვერ გავიგნებ, შეიძლება დავიკარგო კიდეც...

— კარგი, მაშ სახლამდე რომელი გზა იცი?.

— სმოლნიდან ვიცი...

ყველას გაეცინა, მეზღვაურს კი ყველაზე უფრო ხმამაღლა:

— ჰო, რა ეშმაკი ყოფილხარ, ბიჭუნავ!.. კარგი, მიგიყვანთ სმოლნამდე!

6.

ქალაქი სიბნელეს მოეცვა; მხოლოდ სმოლნის მრავალრიცხოვანი ფანჯარა იყო სინათლით გაჩახჩახებული. იგი ამ ოქტომბრის ღრუბლიან ღამეში ზღაპრულ ციხეკოშკს ჰგავდა.

მეც... მეც ვნახე იმ ღამეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. იგი მეზღვაურებთან და ჯარისკაცებთან ერთად სმოლნის მაღალ კიბეებზე იდგა. ნევაზე უკვე ჭქუხდნენ „ავროორას“ ზარბაზნები, სმოლნიდან იერიშზე მიდიოდნენ შეიარაღებული ნაწილები, — დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია.

7.

სამწუხაროდ, პირადად მე არ მიმიღია მონაწილეობა ზამთრის სასახლის აღების გადამწყვეტ იერიშში. მეზღვაურმა მიბრძანა, თავი არ გამომეყო ალაყაფის კარიდან, სადაც ჩვენი რაზმის ზურგი იყო განლაგებული. მაგრამ მე, რითაც შემეძლო, ვეხმარებოდი: წითელგვარდიელებთან მიმქონდა წყალი, ვაზნები.

სამაგიეროდ, მეორე დღეს, საბჭოთა სახელმწიფოს დაბადების პირველ დღეს, პირველ საოქტომბრო დემონსტრაციაზე მე მივაბიჯებდი მეზღვაურის გვერდით. ზევით ირხეოდა ტყვიებით დაცხრილული წითელგვარდიული დროშა. როდესაც სმოლნის მოედანზე გასვლის წინ ჩვენი კოლონა შეჩერდა, მეორე რაზმის მეთაურმა ჩემზე მოუთითა და მეზღვაურს ჰკითხა: „ეს ბიჭუნა ვინლაა?“ ჩემმა მეზღვაურმა უპასუხა:

— ეს ნამდვილი ბიჭია... ბიჭი ნარვის საგუშაგოდან!

თარგმანი
რ. ჭიჭინაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფუტკარი

ვ. ძუბაევი

ნახატი ი. არდიშვილისა

ფართო ფანჯრიდან მზის სხივებმა შეიჭვრიტეს. ერთი მათგანი სახლის შიგნითა კედელს დაეცა და ოქროს ბურთივით აბრწყვიალდა. პატარა გაძე საწოლზე შედგა და ხელი შეუწვდინა სხივს. ამ დროს კარებმა დაიჭრიალა. ბავშვმა მოიხედა, გარეთ მიმავალი დედა დაინახა და დაედევნა. დედამ აივანზე წითელ ყვავილს წყალი დაასხა.

ერთი ფუტკარი ბზუილით მოფრინდა. ყვავილს დააჯდა; თხელი, სიფრიფანა ფრთები უკან წასწია და ყვავილს წითელ ბუტკოში ნექტარი გაუყარა. გაძემ პაწია თვალები მოჭუტა და ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა ფუტკარს. ბოლოს იკითხა:

—დედილო, ეს ბუზი რას აკეთებს?

—რასა და, თაფლს აგროვებს.

—მერე რას უზამს იმ თაფლს? ჩვენ დაგვიტოვებს?

—არა, წაიღებს!

—წაიღებს?

—ჰო!

—მაშ გააგდე, დედი! ჩვენი თაფლი რად მიაქვს!

—მერე იცი, ჩემო სიცოცხლეო, სად მიაქვს?

—სად?

—სადა და ჩვენი კოლმეურნეობის სკებში.

—ბაბუა რომ მუშაობს, იქა?

—ჰო, შვილო.

—ჰო, ჰო! ჩვენს სკებში,—დაფიქრებით თქვა ბავშვმა.

ამასობაში ფუტკარი აფრინდა, ყვავილს ერთხელ კიდევ შემოუარა და სწრაფად გასწია სკებისაკენ. მზის სხივებზე ოდნავ მოწითალოდ გაბრწყინდა მისი ხახვის კანივით თხელი ფრთები

—დაუძახე ჩქარა, დედი!—თითქმის ხვეწნით სთხოვა ბავშვმა მშობელს.

—რატომ, გენაცვალე?

—აი, მეორე ოთახში რომ ყვავილია, იმის თაფლის წასაღებადაც დაბრუნდეს.

დედამ ბიჭს ალერსით გადაუსვა თავზე ხელი:

—კარგი, შვილო, კარგი, ისევ დაბრუნდება.

თარგმანი ოსურიდან გ. ბესტაევისა



ხაღხთა სპარტაკიადა

მურმან ლებანიძე

ნახატი რ. ცუცქირიძისა

იქნებ გაზეთში გინახავთ,
იქნებ არცა გაქვთ ნანახი.—
ამ ჩვენ სურათზე ხატია
ღუნიკი სპორტის ქალაქი.

დგას სიჭაბუკის ქალაქი —
გულს ახარებს და აღაღებს;
ის ჩვენმა კომკავშირელებმა
დედა-მოსკოვში ააგეს.

ათ დღეს გრგვინავდა ტაშის ხმა,
ათ დღეს გრგვინავდა რადიო,
ჭრელი სპორტული დროშები
დაფრიალებდა სტადიონს.

ბრწყინავდა კრემლის ვარსკვლავი,
მოსკოვს დასცქერდა ზვიადად,
გრგვინავდა დედაქალაქში
ხალხების სპარტაკიადა.

ჭაბუკს ებრძოდა ჭაბუკი —
სუდით მხნე, ხორცით ჯანმრთელი;
ერთმანეთს ეჯიბრებოდა
რუსი, სომეხი, ქართველი....

უცებ ჩამწკრივდნენ ბავშვები,
უცებ წრე შეკრეს ნორჩებმა.
კვლავ შეჩოჩქოლდა ხალხის ზღვა,
კვლავ ყური ცქვიტეს დროშებმა,

თორმეტი ველოსიპედი
უმალ სტარტს მოსწყდა ქარუღად.
ფინიშისაკენ დაიძრა
ნორჩი მხედრების მარუა...

მიჭქროდნენ პაწაწინები,
მიჭქროდნენ შეუსვენებლივ.
ფინიშისაკენ ჩქარობდნენ
მათი „სამთვალა ცხენები“.

მათ შეჰხაროდა ხალხის ზღვა.
მათ შეჰხაროდა ქვეყანა.
მათ გზაზე დაუჭკნობელი
ჭრელი ყვავილი ეყარა.

და გულში ყველა ფიქრობდა:
დაიზრდებიან ნორჩები,
დარჩებათ ჩვენი დიდება,
ჩვენი სპორტული დროშები.

მომავალ ოლიმპიადებს,
მომავალ სპარტაკიადებს
მათი სიმხნე და სიმარჯვე.
მათი მზე გაადიადებს...

ბრწყინავდა კრემლის ვარსკვლავი,
ნორჩებს დასცქერდა ზიადად,
და ჰქუხდა დედაქალაქში
ხალხების სპარტაკიადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძის ნაკადული

ვილნოს კორნი

დემოკრატიული გერმანიის საბავშვო მწერალი

ნახატები **ბრ. ჩირინაშვილისა**

ამბობენ, არის ერთი ზღაპრული ქვეყანა შლარაფია, საიდანაც ქალაქებში რძის ქათქათა ნაკადულები მოსჩქეფსო. იმ ქვეყანაში ხალხი არც სწავლობს და არც შრომობს, ყველაფერი მზამზარეულად მოსდით და მთელი დღე ხასხასა მდელოზე გორაობენო.

გჯერათ ეს თქვენ, ბავშვებო? აი, მაგალითად პეტერს სჯერა, მაგრამ უფროსი ძმა უხსნის:

ასე არ ხდება, პეტერ, როგორც შენა გგონია. შლარაფელებს არაფერიც არა აქვთ. ისინი ხომ ზარმაცები არიან? დახედე სურათს. აი, ძროხა მწვანე ბალახს ძოვს. ჰოდა, თოვლივით თეთრ რძესაც ის ამზადებს.

იმ ზაფხულს პეტერი და ული სოფელში გამგზავრნენ. მოსწონს პეტერს სოფელი; ბაღჩა-ბაღებში ჩამჯდარი ლამაზი სახლები და ირგვლივ გაშლილი ველ-მინდვრები.

აგერ, ძროხები ბოსელში მოჰყავთ მოსაწველად. ისინი შოლტებივით იქნევენ გრძელ კუდებს. უცებ ერთმა ძროხამ თავი ბავშვებისაკენ მოაბრუნა და დაიბღავლა. შემკრთალმა პეტერმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

—ნუ გეშინია, — დაამშვიდა ძმამ, — ძროხამ ბღავილი იცის, მაგრამ კი არ გიკბენს. აბა, შეხედე, — გაიშვირა ულიმ ხელი მეორე მხარეს, — შავი, თეთრი და ყავისფერი ხბორები რომ იცქირებიან ღობიდან, ისინი ამ დიდი ძროხის შვილებია. როგორ მხიარულად აბრიალებენ მსხვილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებს. ის კი, ყურებდაკქვეტილი რომ იყურება, კვიცია. ის ტანით არის ხბორებზე მალალი, მაგრამ ხნით კი უმცროსია. სულ ახლახან დაიბადა.

მეორე დილას, გაიღვიძა თუ არა პეტერმა, წამოხტა და კარში გავარდა. იქვე მეზობლის ფანჯარაში შეიჭვრიტა. მოჩ-

ვენებასავით წამოეყო კაცს ლოგინიდან თავი. „ფუი, რა სიბნელე და ჭუჭყია კლუციგის სახლში, — გაიფიქრა პეტერმა, — მისი მშიერი ძროხა კი გომურში ბღავის, მამალიც თავზე დაჰყივის. ბიძია ჰანსის ოჯახი დილაადრიან გადის მინდვრად, მუყაითად შრომობენ, ამიტომ სახლიც და ეზოც ლამაზი აქვთ“.

პეტერი მინდორში გაიქცა. ბიძია ჰანსის ძროხებს „ალმას“ და „ჭრელას“ უკვე ცვრიანი ბალახით გაევსოთ ფერდები.

—შეხედე, პეტერ!—ეუბნება ბიცოლა კეტე,—აი, აქ კეთდება შენი საყვარელი რძე.

პეტერი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებს ძროხებს. „ალმამ“ თავი ასწია და „მუუ“ შეზმუვლა.

—გრეტხენ,—მიუბრუნდა პეტერი უფროს ბიძაშვილს,—მითხარი, სად აკეთებს ბიცოლა კეტე რძეს?

—ბიცოლა გომურშია, მაგრამ რძეს ის როდი აკეთებს,—გაეცინა გრეტხენს.

პეტერი გომურისაკენ გაეშურა, მაგრამ გომურის მაგიერ სხვა კარი შეაღო. ცოცხი გადმოვარდა და პეტერი იქვე ჩაჯდა. ოთხი გოჭი ჭყვიტინით გამოვარდა და აქეთ-იქით გაიფანტნენ. დედა ღორმა დინგი გამოჰყო და მოულოდნელ სტუმარს ღრუტუნით მიესალმა.

ბოლოს პეტერმა ნახა, თუ საიდან მოდის რძე. დგას მშვიდად ძროხა და ბიცოლა წველის მას. ჩხრიალ-ჩხრიალით ჩადის რძე ვედროში და პირამდე ივსება.

უცბად პეტერს უკანიდან წვერცანცარა თხა მიეპარა და შარვალი გამოახია. პეტერი მოტრიალდა, თხა კი თავხედურად მისჩერებოდა უცხო ბიჭს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშიშარა არ გეგონოთ პეტერი! მართალია, მაშინ ხმა არ გაუცია, მაგრამ შემდეგ, როდესაც თხამ რძის ჭურჭლისაკენ წაიწია, სწრაფად სწვდა კისერში და არ მიუშვა, თან დატუქსა: „გამოდი აქეთ, შე წუწკო, მაგ რძესთან შენ არაფერი გესაქმება“.

პეტერმა ბიძიასა და ბიცოლას ქება დაიმსახურა: ჩვენი პეტერი გულადიაო, ეუბნებოდნენ ისინი ყველას. ნებაც კი დართეს, რომ მეორე დღეს ძროხებს გაჰყოლოდა მინდორში სამწყემსად.

ყველას აკვირვებს პეტერი თავისი სიყოჩაღით. ხუმრობა ხომ არ არის, მთელ ნახირს უვლის! ულისაც კი უკვირს: დახე, ჩემს პატარა ძმას რამდენი რამ შესძლებიაო. ზოგი ძროხა ისე მიეჩვია, რომ ხელებსაც კი ულოკავს პეტერს.

მართლაც საამოა და საამაყო კარგად მოვლილი ძროხები. გაბურთულ ტანზე ბეწვი ლამაზად უბრწყინავთ და მათი ვეება ცურიდან უხვად მოწკრიალებს მსუყე რძე. კლუციგი კი არ უვლის კარგად თავის ძროხას. სიზარმაცე სახეზე აქვს აღბეჭდილი. მის შემხედვარე პეტერსაც კი მოუვიდა ბრაზი და გაგულისებით უთხრა:

—დედა ამბობს, რომ ჩვენ, ბავშვებს, კარაქი, ნაღები, ყველი და მაწონი გვჭირდება. ეს ყველაფერი კი რძისაგან კეთდება. არ ფიქრობ ჩვენზე?

როდესაც შეგროვილი რძე მანქანით წაიღეს, პეტერიც თან გაჰყვა„ მოგზაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა აინტერესებდა. რძის ქარხანაში ყოველი მხრიდან დაუსრულებლივ მოჰქროდნენ მანქანები და მოჰქონდათ რძით სავსე ჭურჭლები. პეტერმა გაიგო, რომ კარგად მოვლილი ძროხის რძისაგან უფრო ნოყიერი კარაქი იდღვიბება. ყველის დამზადებასაც უცქირა პეტერმა. ისიც ნახა, თუ როგორ გაემართნენ ქალაქისაკენ კარაქისა და ყველის კასრებით დატვირთული მანქანები.

როდესაც პეტერი ქალაქში დაბრუნდა, მან უკვე ყველაფერი იცოდა რძის შესახებ. ჰკითხეთ, ვისაც გინდათ. პეტერი მშვენივრად მოგიყვებათ ველ-მინდვრების, საძოვრების, ძროხების, ხბორებისა და მათი სადგომების შესახებ.

გაიგონებს თუ არა მანქანის ხმას, რომელსაც რძე მოაქვს, დაავლებს ქოთანს ხელს და მირბის რძის მოსატანად.

შავი, თეთრი და ყვითელკანიანი ბავშვები ძროხის რძესთან ერთად სიამოვნებით სვამენ ლამას, ვირის, ცხენის, აქლემის, თხისა და ცხვრის რძეს. მთელი ქვეყნის ბავშვებისათვის მოსჩქეფს დაუსრულებლივ მათი საყვარელი რძის ნაკადული.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

მარინე და ონკანი

ილია სიხარულიძე

მარინე წყლის ონკანთან
სულ ფუსფუსებს, ტრიალებს,
უხარია, როდესაც
წყალი ჩამოჩხრიალებს.

ონკანს აღებს, ხან კეტავს,
წუთსაც აღარ ასვენებს
და ვერ ამჩნევს, თუ წყალი
როგორ წუწავს, ასვენებს.

დედამ თვალი თუ მოჰკრა,
მაშინ გარბის ცუნცულით
და ჩამოსდის კაბაზე
წყლის წვეთები წურწურით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ქახიძე

ნახატები ალ. ბანძელაძისა

სანდროს ვეღოსიპედი

მთელი დღე ველოსიპედს
აღმა-დაღმა დააქანებს,
არავის არ ერიდება,
არც ხაღხსა და არც მანქანებს.

მთელი ეზო შეაჯერა,
კრუხ-წიწილი გადარია,
თვალი წასძვრა ველოსიპედს
და შეემთხვა ავარია.

მარცხს აბრალებს ველოსიპედს,
უცებ გადამიქანდაო,
ხელებს მტკივან ფეხზე იდებს,
აქაც მტკივა, იქაცაო.

დედილო კი განგებ ჯავრობს:
რად გატეხე ასფალტიო,
აწუწუნდა მეეზოვე:
— აბა, როგორ გაპატიო!

დაუძახეთ მილიციელს,
ჩამოართვას უფლებაო,
ამისთანა მოუსვენარს
კარგი დასჯა უხდებაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატები შ. ცსაბაძისა

ქოჩორა

რუმინული ზღაპარი

ერთ მშვენიერ დღეს დეზებიანმა ყვინჩილამ უთხრა ქოჩორას:

— ტყეში კაკალი უკვე შემოსული იქნება. წავიდეთ, ვჭამოთ, თორემ ციყვი სულ მოკრეფს და ჩვენ აღარაფერი დაგვრჩება.

— სიამოვნებით წამოვალ, — მიუგო ქოჩორამ. ქოჩორას სეირნობა უყვარდა.

გავიდნენ ეზოდან, გაიარეს მინდორი და მიაღწიეს ტყეს. დღე იყო მშვენიერი და კაკალიც გემრიელი. ტყეში საღამომდე დარჩნენ, და როცა წასვლა დააპირეს, ქოჩორამ უთხრა:

— მე ფეხს არ მოვიცვლი, თუ ურმით არ წამიყვან!

— საიდან გაგიჩინო ურემი? — ჰკითხა ყვინჩილამ.

— ეგ შენი საქმეა! არა და მე აქ დავრჩები და მელიები შემჭამენ!

ყვინჩილა საქმეს შეუდგა, — იგი მეტად გულისხმიერი და მუყაითი იყო; ხის ტოტებისაგან გააკეთა პატარა ურემი კაკლის ნაჭუჭის თვლებით. ქოჩორა მკვირცხლად დასკუპდა ურემზე და უბრძანა:

— აბა, სწრაფად შეები ურემში და წავიდეთ, ღამემ არ მოგვისწროს!

— ოჰო! რა ჭკვიანი ხარ, ქოჩორა! სჯობს მე მარტო დავბრუნდე შინ, ვიდრე ურემში შევება! — წყრომით მიმართა ყვინჩილამ.

მათ ჩხუბს მოუსწრო კუმ:

— ჰეი! რა გაჩხუბებთ?

— შენ ჩემს საქმეში ნუ ერევი! — დაუყვირა ქოჩორამ.

კუმ თითქოს ვერ გაიგო ქოჩორას ნათქვამიო და განაგრძო:

— ყვინჩილა, შენც ურემზე დაჯექი და, თუ მორიგდებით, მე წაგიყვანთ, სულ ერთია, მეც იქით მივდივარ.

კუ შეება და ურემი ისე გარახრახდა, რომ გესიამოვნებოდათ მისი შეხედვა.

იარეს, იარეს და შემოხვდათ საკერავი ნემსი. ის, ეტყობა, მკერავისაგან მოდიოდა და გზაში შემოაღამდა.

— მეც ურმით წამიყვანეთ, — სთხოვა ნემსმა, — თორემ თუ ძალიან დაღამდა, ერთ ნაბიჯსაც ვეღარ გადავდგამ და მტვერში დავიკარგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ წაგიყვანთ, დეიდა!—უთხრა ქოჩორამ,—მეშინია შენი, მიჩხვლეტ.

ყვინჩილა კი არ დაეთანხმა ქოჩორას:

— დაჯექი, მგზავრო, — უთხრა მან ნემსს, —შენ ისეთი გამხდარი ხარ, რომ დიდ ადგილს არ დაიჭერ.

საკერავი ნემსი დაჯდა და ურემი ისევ გაუდგა გზას. კარგა ხანს იარეს ჩვენმა მგზავრებმა და ღამის გასათევად ერთ ეზოში გაჩერდნენ. კუს შინ ეჩქარებოდა, დაემშვიდობა მათ და მდინარისაკენ გასწია.

— გმადლობთ, კუ!— გასძახეს ყვინჩილამ და ნემსმა.

— ბედნიერად, ჩემო ძვირფასებო! მხოლოდ კარგად დააკვირდით თქვენს მასპინძელს.

მართლაც, ჭიშკართან იდგა მასპინძელი, რომელსაც კუდი გრძელ წინსაფარში დაემალა და სათვალეები ცხვირზე ჩამოეცვა. მგზავრებმა ვერ იცნეს ბებერი მელა.

— მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო! — მიიპატიჟა მან და თავისთვის ჩაილაპარაკა:—რა მშვენიერი ვარიაა!

გაბღენძილი ქოჩორა ამაყად შეევიდა ეზოში. მას მიჰყვნენ ყვინჩილა და ნემსი. იქ ღამის გასათევად სხვა მგზავრებიც იყვნენ.

—რით გადამიხდით ვახშმისა და ღამის გასათევს?— ჰკითხა მასპინძელმა.

— ჩვენ ფული არა გვაქვს,—მიუგო ყვინჩილამ, — მაგრამ დილაზე ქოჩორა კვერცხს დადებს და მოგვართმევთ.

— კეთილი, კვერცხიც ფულად ღირს.

— მე კი შემიძლია, რაიმე შეგიკერო,—დაუმატა ნემსმა.

— კარგი, კარგი, — უპასუხა მასპინ-

ძელმა, — მე ვხედავ, რომ თქვენ წესიერი მგზავრები ხართ.

ქოჩორამ, დეზებიანმა ყვინჩილამ და საკერავმა ნემსმა ივახშმეს და დასაძინებლად წავიდნენ.

— მე იატაკზე დავწვები,—თქვა ნემსმა და კართან მიწვა. ქოჩორამ და ყვინჩილამ მალე დაიძინეს, ნემსს კი არ ეძინებოდა, ეტყობა, ყური სტკიოდა ბევრი კერვისაგან.

უცბად მათ ოთახში შემოვიდა მასპინძელი. ნემსმა მელიას კუდი დაუნახა, ისიც შეამჩნია, თუ როგორ ქურდულად გადახედა მელიამ მძინარე სტუმრებს. მასპინძელი რომ გავიდა, საკერავმა ნემსმა ყვინჩილას ფრთხილად უჩხვლიტა და ქოჩორაც გააღვიძა. ქოჩორამ კაკანი მორთო:

— საძაგელო, განა იმიტომ წამოგიყვანე ურმით, რომ მიჩხვლიტო?

— გაჩუმდი!—წასჩურჩულა ნემსმა,—აქ მასპინძელი იყო... ის მელიაა! მე დავინახე, როგორ შეგათვალიერათ.

— ვაი, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ?—ტირილი მორთო ქოჩორამ.

— ფანჯარაში გადავხტეთ! — უთხრა ყვინჩილამ. ამ დროს ნემსს შემოესმა სხვა მგზავრის ხმა, რომელიც მასპინძელს ჩიბუხის მოსაკიდებლად ნაკვერჩხალს სთხოვდა.

ნემსმა წასჩურჩულა:

— ნუ გეშინიათ, მე გიხსნით გასაჭირისაგან. ყვინჩილა, ჩქარა! ქოჩორას კვერცხი ბუხარში ჩადე და ზედ ნაცარი მიაყარე!..

ის იყო, კვერცხი დამალეს, რომ მასპინძელიც ჩიბუხით შემოვიდა. ჩვენი მგზავრები გაუნძრევლად იწვნენ, თავი მოიმძინარეს.

მასპინძელმა ჩაილაპარაკა: —ახლავე გავაჩაღებ ჩიბუხს და შემდეგ გიჩვენებთ სეირს!—როცა ის ნაკვერჩხალს ეძებდა, უცბად შემწვარი კვერცხი ისე მაგრად გასკდა, რომ მელიას ნაცარი თვალებში შეეყარა. მელიამ თვალების ფშვნეტა დაიწყო, ამ დროს წინსაფრიდან კუდიც გამოუჩნდა. ნემსმა ისე მაგრად უჩხვლიტა, რომ მელიას ეგონა, კუდიც მეწვებაო, გამწარებული სახლიდან გავარდა და ტყეში გაიქცა.

გინდათ, გაიგოთ, რა მოხდა შემდეგ?

ყვინჩილა სწრაფად გავარდა გარეთ. უფრო სწრაფად კი ქოჩორა მიჰყვა.

— ნუ იჩქარი, ქოჩორა! — სიცილით მიაძახა ნემსმა, — იქნებ კუმ ურმით წაგიყვანოს!

— გმადლობთ, ძვირფასო! მე ფეხითაც კარგად წავალ! — ზრდილობიანად უპასუხა ქოჩორამ და გზას გულადად გაუდგა.

თარგმანი ე. სიბაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოცანა

მ. ბოლქვაძე

***

ციყვო,
თხიდი ჩამომიგდე,
ცელქო,
კუდო-ფრიალა,
მხოლოდ მთელი,
სავსე გუდით,
ცარიელი
კი არა!

***

ქარო ჩადექ,
ნუ ხმაურობ,
ნუ აახევ
აფიშებს;
ჩადექ, თორემ
დღეს კინოში
დედა აღარ
გამიშვებს!

რქაწითელი ყვითლად ბზინავს,
საფერავი—შავადა;
სართველად ყველამ მოიმზადა
გოდორი და კალათა.
დედამ შვილებს,—თითო-თითოს,
მისცა სამი აკიდო;
შინ წაიღეს, რომ საზამთროდ
სახლის პერში დაკიდონ.
ნუცას უკან სიკო მისდევს,
წინ მიუძღვის ლევანი...
მიხვდი, ყველას სულ რამდენი
მიაქვს ყურძნის მტევანი?

დ. ძეკამიძე

დათვი და ვენახი

ბრ. ჩიტაიშვილი

ერთ კაცს სოფლის განაპირას ვენახი ჰქონდა. როგორც კი დამწიფდებოდა ყურძენი, ბიჭები იპარავდნენ.

პატრონმა თავისი მეგობარი დათვი დააყენა ვენახის მცველად.

დათვს შიშით ვენახს აღარავინ ეკარებოდა.

ერთხელ დათვი ქარვისფერ ყურძენს მიაჩერდა და თქვა:

—ეს რაღაც გემრიელი საჭმელი უნდა იყოს, მოდი, გემოს გავუსინჯავ.

როცა შეჭამა, წამოიძახა:

—ბიჭოს, თაფლზე უტკბესი არ ყოფილა?!—თქვა და შემდეგ მთელი ვენახი გააჩანაგა. ბოლოს თვითონაც გადაიკარგა.

როცა პატრონი დაბრუნდა, წამოიძახა:

—მცველს დავუქცევივარ, მერჩია ისევ ბიჭებს ეჭამათ, მაღლიერი მაინც მეყოლებოდნენო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. როდის დგას ბატი ცალ ფეხზე?
2. ორ ბავშვს ჰყავთ ძმა რეზო, მაგრამ ისინი რეზოს ძმები არ არიან, რატომ?
3. რომელი ჭურჭლიდანაა შეუძლებელი დალიო რამე?

ნახატები გ. როინიშვილისა

დიდი ჯიბე

ლ. ბოკერია

— ჩემო კარგო ბები, სულ პატარა ნაჭერი მომეცი!—ეხვეწებოდა ნუცა ბებოს.

ბებომ ნაკუწების ბოღჩა გახსნა და ნუცას პატარა ჭრელი ნაჭერი მისცა.

ნუცამ დედასთან მიირბინა.

— დედიკო, ამ ნაჭრიდან კაბა შემიკერე! აი, აქედან სახელოები გამომიჭერი,—ნუცამ საჩვენებელი თითი დაადო ნაჭერს და შემოხაზა.

— კარგი, ჩემო კუდრაჭავ, გამოგიჭრი,—დათანხმდა დედა.

— ჯიბე? დიდი ჯიბეც მინდა! — უეცრად გაახსენდა ნუცას.

— კი მაგრამ, მეტი ადგილი რომ აღარ არის!—უთხრა დედამ.

მაშინ ნუცამ გამოართვა დედას ნაჭერი, გადააბრუნა და უთხრა:

— აი, მეორე მხრიდან კი დიდი ჯიბე გამომიჭერი, კარგი?

შენვე ისმენ

ხმის ჩამწერი აპარატი
შევიძინე ამას წინათ.
რა კარგია! ფოტოსაც კი
მირჩევნია ათასწილად.
მითხარ, გია, ამაზე კარგს
რას ინატრებ, აბა, რასა!
შენვე ისმენ საკუთარ ხმას,
სიცილსა და ლაპარაკსა.
ერთხელ ჩემს ძმას წავეჩხუბე,
ავუყვირდი, არ გავჩერდი,
რა ვიცოდი, ჩემს ლაპარაკს
თუ იწერდა მამაჩემი.
ჩემი ხმა რომ გავიგონე,
მართლა შემრცხვა იცი, გია!
იმ ჩანაწერს რომ ისმენენ,
გულიანად იცინიან.

 თ. ქვირიკაძე

ენისგასატეხი

1. თეთრი თრითინა თეთრ რთვილზე თრთოდა.
2. ერთსა კაცსა ბლისკინელსა
ბლის კალათით ბლის ხიდზედა
ბალი გააქვს და გამოაქვს.

ნ. 43/175

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიღბები



საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

აილეთ სქელი ქაღალდები, დახაზეთ ორ-ორ სანტიმეტრიან უჯრედებათ, გადაიხატეთ თარგები, გამოსჭერით კონტურის მიხედვით, გადაკეცეთ წყვეტილ ხაზებზე, მიაწებეთ ერთმანეთს და გააფერადეთ.

/„მურზილკადან"/

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ალ. ბანძელაძეს

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ეკ. ბურჯანაძე, ი. გრიშაშვილი, ქ. გოგიაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), რ. მარგიანი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) **გამოცემის ოცდამეცხრე წელი** ფასი 2 მან.

Д И Л А—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии № 11, ноябрь 1956 г. Тбилиси Просп. Плеханова 91.

საგლიტგამი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. 91 ტელ. 3-37-38. გამომც. შეკვ. № 531 სტამბის შეკვ. № 2108 ტირაჟი 15.000 უე 05274 ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/X-56 წ. ტექსტი აწყობილია პოლიგრაფკომბინატ „კომუნისტის" სტამბაში. ჟურნალი დაბეჭდილია ლითო-ოფსეტურ ფაბრიკაში.